



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების N100/11¹ მიმოხილვა

ფაქტები:

კლიენტმა ადვოკატის დახმარებით, ამერიკაში მყოფი შვილის კუთვნილი ბინა იპოთეკით დატვირთა. მიღებული თანხით გააფორმა სესხის ხელშეკრულება და იპოთეკით დატვირთა ადვოკატის მიერ წინასწარ შერჩეული უძრავი ქონება. პირველი რიგის იპოთეკარი გახდა ადვოკატის მეუღლე, ხოლო კლიენტი იყო მეორე რიგის იპოთეკარი. კლიენტს წარმოეშვა სახელშეკრულებო დავა, რომლის ფარგლებშიც ადვოკატმა შეადგინა საარბიტრაჟო პრეტენზია, კლიენტს მოაწერინა ხელი და თვითონ წარადგინა კერძო არბიტრაჟში. მან როგორც მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის თავმჯდომარემ, თავად განიხილა კლიენტის საარბიტრაჟო პრეტენზია მოპასუხის მიმართ და გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოთხოვნა. გადაწყვეტილების საფუძველზე ადვოკატმა (არბიტრის სტატუსით) მიიღო სააღსრულებო ფურცელი და კლიენტს წარმომადგენლობა გაუწია აღსრულების ეროვნულ ბიუროში. მოხდა ქონების რეალიზაცია იძულებითი აუქციონის გზით, რომელიც შეიძინა თავად კლიენტმა. მოგვიანებით აღნიშნულ ქონებაზე წარმოიშვა დავა კლიენტსა და მესამე პირებს შორის, როდესაც ადვოკატმა გააგრძელა მომსახურება, ხოლო ამის შემდეგ ადვოკატის მეუღლემ, როგორც პირველი რიგის იპოთეკარმა დააყენა მოთხოვნა კლიენტის მიერ შეძენილ უძრავ ქონებაზე, ადვოკატმა შეწყვიტა კლიენტის მომსახურება, დავაში ჩაერთო, როგორც მეუღლის წარმომადგენელი და ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ წარდმოადგინა იგი სასამართლოებში.

პროცესუალური ისტორია:

საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.3. და 8.2. მუხლების შესაძლო დარღვევის საფუძველით, ხოლო განხილვის კოლეგიამ გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისიამ იმსჯელა არსებობდა თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა მხარეებს შორის. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა.“ ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან. ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის მოსაზრება რომ ვინაიდან იგი უსასყიდლოდ, როგორც ფინანსურად გაჭირვებულ ადამიანს, ისე ეხმარებოდა საჩივრის ავტორს, იგი არ ჩაითვლებოდა მის კლიენტად. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში გამოკვეთა, რომ მთავარია ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ვალდებულება, მიუხედავად იმისა, ანაზღაურდება თუ არა მის მიერ განხორციელებული სამუშაო. შესაბამისად, ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოშობილად მიიჩნია.

¹ ეთიკის კომისიის 2013 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება #100/11
<https://www.gba.ge/pdf/5c4728f4799c9.pdf/5c4728f4799c9.pdf>



ეთიკის კომისიამ ინტერესთა შეუთავსებლობის გავრცელებადობა ფართოდ განმარტა და გარდა „იმავე საქმეზე“ სხვა ინტერესის დაცვისა, მიიჩნია, რომ ადვოკატებს უნდა შეეზღუდოთ წარმომადგენლობა ურთიერთიერთდაკავშირებულ საქმეებზე, როდესაც მათი პროფესიული ვალდებულებები, ერთის მხრივ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვა და მეორეს მხრივ, კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის.

ასევე, ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ იმ კლიენტისათვის სამართლებრივი დახმარება, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებული, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში.

აქედან გამომდინარე, კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ წარმოებული საქმეებით დაირღვა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება საქმეთა ურთიერთდაკავშირებულად მიჩნევის გამო, რასაც განაპირობებდა ის ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა თავიდან მიიღო საქმის წარმოებით და შემდეგ უკვე სხვა კლიენტის სასარგებლოდ გამოიყენა.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს უფლება არ ჰქონდა წარმოედგინა მეუღლის ინტერესები, რადგან მისი როგორც პირველი რიგის იპოთეკარის მიერ მოთხოვნის დაყენებამდე, ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს და ფლობდა მისგან მიღებულ ინფორმაციას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ მეუღლის წარმომადგენლობა ქმნიდა ყოფილი კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევის საფრთხეს და რისკის ქვეშ აყენებდა ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად დაირღვა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.2. მუხლი.

კომისიამ იგივე საქმეზე ადვოკატის მონაწილეობა ჯერ არბიტრის სტატუსით და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში მხარის წარმომადგენლობა მიიჩნია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.3. მუხლის დარღვევად, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე არბიტრაჟის მიერ კერძო სამოქალაქო დავის განხილვა და გადაწყვეტა სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და, შესაბამისად, საარბიტრაჟო დავის განმხილველი არბიტრი ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.3. მუხლში მოხსენიებულ მოსამართლესთან უნდა იქნეს გათანაბრებული და პროფესიული ფუნქციის შესრულებისთვის იგივე მოწესრიგება გავრცელდეს.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატის მოქმედებები არღვევდა ინტერესთა შეუთავსებლობის პრინციპს. დისციპლინური სახდელის ფორმად ადვოკატისათვის განისაზღვრა, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით, რაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების შედეგად უცვლელი დარჩა.²

² <https://gba.ge/pdf/5c4c048023217.pdf/5c4c048023217.pdf>